Так, призывы к российским властям организовать возвращение сирийских черкесов на Кавказ в определенный момент стали сопровождаться заявлениями о том, что активисты готовы отказаться от требования признать Кавказскую войну геноцидом, если Москва согласится с их требованиями по Сирии, а место угроз, касавшихся негативной реакции черкесской диаспоры на сочинскую олимпиаду, заняли обещания выгод, которые Москва получит, предоставив членам этой диаспоры российское гражданство в упрощенном порядке и наряду с гражданством тех стран, где они пребывают. Этот калейдоскоп неосуществимых требований и ничем не подтвержденных обещаний в итоге утратил всякую операциональность.

Реакция федеральных властей на требования представителей черкесского этнического движения прошла за последние годы несколько изменений. Первой реакцией была попытка вернуться к образцам советской «исторической политики» в виде широкой и довольно дорогостоящей кампании 450-летия вхождения в состав России республик с черкесским компонентом. Кампания вызвала ожидаемую критику со стороны историков как из Нальчика и Майкопа, так и из Москвы — соглашения, заключенные Иваном Грозным с современными ему черкесскими предводителями не означали распространение юрисдикции России на Центральный и Северо-Западный Кавказ, не говоря уже о том, что формулировка о «450-летию вхождения Кабардино-Балкарской республики в состав России» была очевидным анахронизмом.

В дальнейшем власти учли эту критику и стали проводить более тонкую политику в отношении «черкесского вопроса». Содержание этой политики можно определить как готовность к сотрудничеству с черкесскими организациями и властями соответствующих республик в культурной и гуманитарной сфере при игнорировании политических требований, касающихся признания Кавказской войны геноцидом.

Республика Адыгея в ноябре 2010 г. подписала соглашение с Россотрудничеством, которое предусматривает поддержку в изучении адыгейского языка, развитие связей с черкесской диаспорой и проч. с опорой на сеть представительств Россотрудничества за рубежом. Программа мероприятий на 2011 — 2012 гг., предусмотренная соглашением, включала в себя конференции по вопросам сохранения адыгейского языка в Турции и Сирии, участие Адыгеи в российско-иорданской промышленной выставке Expo-Russia Jordan 2011, обучение студентов из черкесской диаспоры в российских ВУЗах за счет средств федерального бюджета, подготовку преподавателей русского

⁹А. Мальгин. *Оттолкнуться от прошлого и пойти вперед*. — «Эксперт» — 2010 — №14 (700) от 12 апреля 2010 г. — http://expert.ru/expert/2010/14/ottolknutsya_ot_proshlogo/

и адыгейского языков, национальных танцев, музыки, обычаев и традиций из числа представителей черкесской диаспоры, направление преподавателей из республики в черкесские культурные центры за рубежом, организацию курсов русского и адыгейского языков в российских культурных центрах и представительствах за рубежом. В Кабардино-Балкарском государственном университете сохраняется и развивается традиция обучения студентов из черкесской диаспоры. Представители МЧА и Адыге хасэ входили в число доверенных лиц Владимира Путина на президентских выборах 2012 года.

Диалог шел и по политически чувствительным вопросам, таким, как перспектива возвращения сирийских черкесов на Кавказ. В начале 2012 года делегация Совета Федерации посетила Сирию, чтобы на месте изучить вопрос. Несколько дискуссий прошло в Общественной палате России. К сожалению, многие черкесские активисты не учитывали того обстоятельства, что для Москвы организация эвакуации 100-тысячной (по данным самих активистов) сирийской черкесской диаспоры равнялась бы признанию краха сирийской государственности и ее неспособности обеспечить законный порядок в стране даже в перспективе.

Между тем, требование разрешения сирийского кризиса на основе законности, демократических норм и без внешнего вмешательства для российской дипломатии принципиально. Подрыв Кремлем собственной же внешнеполитической позиции во имя уступки одному из многочисленных этнических движений, действующих в России, был крайне маловероятен, тем более, когда публичные требования многих черкесских активистов по этому поводу приняли отчетливо конфронтационный тон.

Выводы для российско-грузинских отношений

Существование диаспоральных этнических организаций, а также объединяющих их международных структур не могло не обеспечить «черкесскому вопросу» определенного международного звучания. В разное время интерес к теме проявляли организации из Турции, США, других стран. Американский National Endowment for Democracy в 2006 году организовал «Комитет солидарности с республикой Адыгея». «Черкесский вопрос» подхватил Jamestown Foundation, организовавший серию конференций по истории и современной политике на Северном Кавказе. Нужно отметить, что организации, близкие к действующей администрации США, не только не поддерживают публично «черкесскую тему», но и негативно оценивают активность грузинских властей на этом направлении.¹¹

¹¹S. Charap, C. Welt. *A More Proactive U.S. Approach to the Georgia Conflicts*. — Center For American Progress — February, 2011. — <http://www.americanprogress.org/wp-content/uploads/issues/2011/02/pdf/georgia-report.pdf>

В Турции вспышки общественной активности вокруг «черкесского вопроса» спорадические; их сравнительная слабость может быть объяснена тем, что у турецкого бизнеса имеются интересы в сочинских строительных проектах. «Черкесские дни» регулярно проводятся в европейском парламенте, правда, абхазская тематика на этой площадке, похоже, постепенно вытесняет собственно черкесскую.

В большинстве зарубежных публичных кампаний по «черкесскому вопросу» влияние государственных структур если и угадывалось, то никогда не проявлялось открыто. Исключением стала Грузия. В 2010 году в Тбилиси были проведены две конференции «Скрытые нации, продолжающиеся преступления», которые были организованы совместно Jamestown Foundation и Международной школой кавказских исследований при университете Или. В конференциях участвовали представители парламента Грузии. Президент Михаил Саакашвили с трибуны ООН выдвинул инициативу «новой северокавказской политики», составной частью которой стала публичная активность властей страны в «черкесском вопросе». Наконец, в мае 2011 года парламент Грузии признал Кавказскую войну геноцидом черкесов.

Влияние всех этих зарубежных кампаний на ситуацию внутри России было в целом невелико. Насколько можно судить, Jamestown Foundation в своей деятельности так и не смог перешагнуть российских границ. Активисты черкесских этнических организаций не получают сколько-нибудь заметного финансирования из-за рубежа. Международные кампании они расценивают прежде всего как средство давления на российские власти, а признание Кавказской войны геноцидом — как средство активизации обсуждения «черкесского вопроса» в мире. Примечательно, что в этих оценках были едины как «официальные», так и «оппозиционные» активисты, правда, первые указывали, что Грузии следовало бы также признать геноцид абхазов и осетин.

Федеральные власти не поддались подобному давлению, зато их отношения с черкесскими этническими организациями благодаря международным кампаниям и действиям парламента Грузии были испорчены. После признания Кавказской войны геноцидом публичную дискуссию об истории Северного Кавказа в неконфронтационном русле вести стало значительно труднее. Что же касается политической динамики на уровне регионов, то здесь эти кампании лишь углубили раскол между «официальными» и «оппозиционными» активистами и способствовали изоляции последних.

Проблема «новой северокавказской политики» Михаила Саакашвили не в том, что она была провокационна и скандальна, настолько, что даже «оппозиционные» черкесские активисты сочли нужным отмежеваться от некоторых ее проявлений. Уходящий президент расценивал и расценивает Россию как злейшего врага Грузии, и, вероятно, считает своим долгом любой ценой и любыми средствами нане-

сти России вред, какой только сможет нанести. Как избранный лидер суверенного государства он был вправе сделать тот выбор, который считал нужным. И нести ответственность за этот выбор.

Проблема в том, что «новая северокавказская политика» грузинских властей исходила из заведомо ложных посылок, и анализ «черкесского кейса» это неплохо иллюстрирует. Двадцать лет назад силы, действовавшие от имени этнических групп под лозунгами этнических прав и этнического самоопределения, взорвали политическую систему Советского Союза. Последствия этого взрыва ощущаются как на Северном, так и на Южном Кавказе до сих пор. Однако «новая северокавказская политика» — и, похоже, часть экспертного сообщества Грузии — недооценивали то обстоятельство, что за прошедшие двадцать лет эти силы либо утратили свой динамизм, сойдя со сцены, либо интегрировались в новую российскую политическую систему.

Этнические организации и лидеры не исчезли и не исчезнут, как не исчезнет российское многообразие. Но они все в большей степени занимают неполитические (но от этого не менее важные) ниши — сохранение языка и культуры, выражение и поддержка практических интересов локальных групп. Политический процесс входит в русло «регулярных» институтов, таких как муниципальные и региональные выборы, партийное строительство, гражданские организации и движения и прочее. Эти институты — при всем их досадном несовершенстве — становятся, применяя здесь известное выражение Хуана Линца и Альфреда Степана о демократии, «единственной игрой в городе».

В регионе существуют силы, не признающие институтов российской политической системы и готовые бороться против этих институтов с оружием в руках. Но их могущество не следует переоценивать. Они способны совершать кровавые теракты, но неспособны влиять на принятие политических решений в масштабах отдельной республики, не говоря о всем регионе. Двадцать лет назад 200 бойцов во главе с Русланом Гелаевым могли создать стратегический перевес для той силы, на стороне которой они воевали. Уже осенью 2001 года их рейд в Абхазию показал,

что время торжества подобных вооруженных формирований позади. Наверное, нет необходимости упоминать, что силы, о которых идет речь, весьма далеки от идеала европейских ценностей и прав человека, к которым апеллировала «новая северокавказская политика» Грузии.

Возможно, что по мере нормализации российско-грузинских отношений в двусторонней повестке дня появится вопрос о региональном сотрудничестве. С северной стороны Главного Кавказского хребта обсуждаются возможности строительства новых автодорог в Закавказье. Насколько можно судить, Москва уже сейчас готова к открытию новых пограничных переходов, которые позволят расширить товарооборот между двумя странами. Перспективным может быть сотрудничество в сфере туризма, тем более жители северокавказских республик давно освоили горнолыжные курорты Грузии. Большой потенциал имеет сотрудничество в гуманитарной сфере, например, учитывая важность архивов Грузии для изучения истории Кавказа в целом.

В то же время политическая рамка для такого сотрудничества находится в сфере взаимодействия с федеральными властями России, регионами и муниципалитетами Северного Кавказа в соответствии с существующим законодательством и сложившейся практикой. Предстоит преодолеть то недоверие, которое возникло к самой идее подобного сотрудничества по итогам «новой северокавказской политики», причем и в Москве, и в регионах Северного Кавказа. Та политика предполагала, что Тбилиси выбирает в регионе партнеров из числа тех, кто настроен в отношении Москвы наиболее критично, и затем объявляет его представителем региона в целом. В конечном счете, такая постановка вопроса подрывала перспективы регионального сотрудничества, поскольку для регионов Северного Кавказа в таких условиях контакты с Грузией автоматически означали нелояльность собственной стране.

Между тем, потенциал для сотрудничества существует, заинтересованность в нем есть, и его перспективы зависят от того, как будут устраняться препятствия, представляющие наследие «новой северокавказской политики».

Об авторе

Силаев Николай Юрьевич

Российский политолог-международник, кавказовед. Родился в 1977 году в Москве. Выпускник Исторического факультета Московского государственного университета им. М.В. Ломоносова. Кандидат исторических наук («Северный Кавказ в составе России во второй половине XIX века: демографические, экономические, административно-правовые аспекты интеграции», 2003).

С 2004 года — старший научный сотрудник Центра проблем Кавказа и региональной безопасности МГИМО (У) МИД России. Составитель и редактор сборника *«Конфликты в Абхазии и Южной Осетии. Документы 1989–2006 годов»*. М.: «Русская панорама», 2008.

Директор Некоммерческого партнерства содействия развитию международных связей «Кавказское сотрудничество». Организатор Российско-грузинского медиафорума в Цахкадзоре (декабрь 2010, июнь 2011). Редактор аналитического портала «Россия—Грузия: экспертный диалог» (www.georgiamonitor.org).

საერთაშორისო კავშირების განვითარების ხელშეწყობის
არაკომერციული საპარტნიორო ორგანიზაცია „კავკასიური
თანამშრომლობა

ნიკოლაი სილაევი

ეთნოსი და პოლიტიკა ჩრდილოეთ
კავკასიაში: „ჩერქეზული საკითხი“

მოსკოვი
2013

შინაარსი

„ჩერქეზული საკითხი“ პოსტ-საბჭოთა ათწლეულებში 20

ბრენდის ერთიანობა — მრავალი ინტერესი 24

ჩერქეზული მოძრაობა და რუსული ხელისუფლება 27

დასკვნები 31

ნიკოლაი იურის ძე სილაევი 33

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ბოლო წლებში ჩრდილოეთ კავკასია რუსულ-ქართული უთანხმოებების ერთ-ერთი პუნქტი იყო, თუმცა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ საქართველოში მდგომარეობა შეიცვალა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განაცხადა, რომ საქართველო მონაწილეობას მიიღებს სოჭის ოლიმპიურ თამაშებში, რომელთა წარმატებით ჩატარებაც რუსეთის ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნის, მათ შორის, სამხრეთ რეგიონების სტაბილურობისა და კეთილდღეობის ნიშანი. ამას მოჰყვა შეთავაზება თანამშრომლობაზე ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრინველყოფაში, რომელიც რუსეთში გაგებით მიიღეს. როგორც შეიძლება ვიმსჯელოთ, ასეთ თანამშრომლობას უკვე მოაქვს გარკვეული პრაქტიკული შედეგები, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ეს მრავალი წლის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, როცა დიპლომატიური ურთიერთობების არმქონე მეზობელ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა მიმდინარეობს ასეთ მგრძობიარე სფეროში.

ქართველი პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოსა და რუსეთის ინტერესები ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ერთმანეთს ემთხვევა. ორივე ქვეყანა დაინტერესებულია ამ რეგიონის სტაბილურობასა და მშვიდობიან განვითარებაში. კონფლიქტების ესკალაციას კავკასიონის მთავარი ქედიდან ჩრდილოეთით, შესაძლოა, ორივესთვის კატასტროფული შედეგები მოჰყვეს. ასეთ საკითხებში თანხმობა მით უფრო მნიშვნელოვანია,

როცა მოსკოვი და თბილისი ჯერჯერობით იშვიათად თანხმდებიან რაიმეში.

მიუხედავად იმისა, რომ თავად შეთანხმების ფაქტი სასიხარულოა, რეგიონული თანამშრომლობის კონკრეტული გზები, უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის გარდა — ჯერ მხოლოდ მოიხზრება. ვიდრე ისინი შეიქმნება, საჭირო იქნება თავად სიტუაციის ქართული და რუსული ხედვა რეგიონში დაახლოვდეს და აიხსნას რუსული პოლიტიკა ქვეყნის სამხრეთში. აღნიშნული მოხსენება არ აცხადებს პრეტენზიას ამ საკითხის გადაწყვეტაზე, მაგრამ წარმოადგენს მცდელობას, მცირე წვლილი შეიტანოს მისი გადაწყვეტის საქმეში. კერძოდ, განიხილოს ეთნიკური ფაქტორების პოლიტიკური როლი ჩრდილოეთ კავკასიაში „ჩერქეზული საკითხის“ მაგალითზე, რომელიც ესოდენ მწვავედ განიხილებოდა თბილისში რამდენიმე წლის წინ.

მოხსენება ეფუძნება არაკომერციული პარტიორობა „კავკასიური თანამშრომლობის“ მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევის „ჩერქეზული საკითხი: ეროვნული მოძრაობა თანამედროვე რუსეთში“ მასალებს. პროექტი, რომელიც მოიცავდა ჩერქეზული ეთნიკური მოძრაობისა და სხვა ეთნიკური მოძრაობების, ხელისუფლების სხვადასხვა დონის წარმომადგენლებთან, ჩერქეზ ინტელექტუალებთან, მეწარმეებთან 75 ინტერვიუს, განხორციელებულ იქნა საზოგადოებრივი პროექტირების ინსტიტუტის მიერ, სამოქალაქო საზოგადოების ინტიტუტების მხარდაჭერის საპრეზიდენტო ფონდის ფარგლებში გამოყოფილ გრანტზე. კვლევის საველე ეტაპი ტარდებოდა 2012 წლის აპრილ-მაისში ყაბარდო-ბალყარეთში, ჩერქეზეთსა და ადიღეში, ასევე სოჭის ლაზარევსკის

ადმინისტრაციული რაიონისა და კრასნოდარის მხარის ტუაფსეს მუნიციპალური რაიონის შაპსულურ აულებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური თანამშრომლობის“ დირექტორმა, მოსკოვის სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის პრობლემების ცენტრისა და რეგიონული უსაფრთხოების ცენტრის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ნიკოლაი სილაევმა, ცენტრის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა მიხაილ ვოლხონსკიმ, ე.ტ.გაიდარის სახელობის ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა კონსტანტინ კაზენინმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ცივილიზაციური და რეგიონული კვლევების ცენტრის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ნაიმა ნეფლიაშვილამ, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ეთნოპოლიტიკური კვლევების ცენტრის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ახმეტ იარლიკაპოვმა, ფასეული რეკომენდაციები მოგვაწოდა RAMCOM-ის რეგიონების სოციალ-ეკონომიკური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელმა დენის სოკოლოვმა. კვლევის ფრაგმენტები გამოქვეყნებულია.¹

მოხსენება არ იმეორებს კვლევის შინაარსს. მისი მიზანია, ჩამოაყალიბოს რამდენიმე თეზისი, რომლებსაც, შესაძლოა, ჰქონდეს მნიშვნელობა ჩრდილოკავკასიური პრობლემატიკის გასაანგარიშებლად, რუსულ-ქართული ურთიერთობების კონტექსტში. ავტორი მადლობას უხდის პროექტში მონაწილე კოლეგებს და სთხოვს, მოხსენების ყველა უპირატესობა კვლევითი ჯგუფის საერთო დამსახურებად მიიჩნიონ, ხოლო ყველა ნაკლოვანებაზე პასუხისმგებლობა დააკისრონ მხოლოდ ავტორს.

„ჩერქეზული საკითხი“ პოსტ-საბჭოთა ათწლეულებში

თანამედროვე სახით ჩერქეზული ეროვნული მოძრაობა ჩაისახა გასული საუკუნის 80-იანი წლების შუაგულში. დაახლოებით ამ დროიდან ჩერქეზული ორგანიზაციების საქმიანობა გავიდა ცალკეაღებული ქვეყნის დიასპორის კეთილდღეობის შესახებ ზრუნვის ვიწრო ჩარჩოებიდან. ჩერქეზულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში გაჩნდნენ, დაიწყეს ერთიანი სტრუქტურების შექმნა და კავკასიასა და

უცხოეთში მცხოვრები ყველა ჩერქეზის ინტერესების ფორმულირება.

აქ როლი რამდენიმე ფაქტორმა ითამაშა. ეკონომიკური ზრდასა და ურბანიზაციასთან ერთად ახლო აღმოსავლეთის ჩერქეზული სათემოებისთვის სულ უფრო აქტუალური ხდებოდა ასიმილაციის პერსპექტივა. სსრკ-ში 60-იანი წლების შუაგულში შეინიშნებოდა საერთო მოძრაობა „ფესვებთან დაბრუნება“, რომელმაც პრაქტიკულად ყველა ეთნიკური ჯგუფის ინტელექტუალები მოიცვა და ხელისუფლების ფაქტიური მხარდაჭერა მიიღო. ეს, შესაძლოა, გამოხატულიყო სხვადასხვა ფორმით — დაწყებული ნიშანდობლივი ისტორიული მემორიალების აღმართვით, ჩრდილო კავკასიაში და სსრკ-ს სხვა რეგიონებში ხალხური ტრადიციების აღორძინებით (ან შექმნით) და დამთავრებული სოფლის პროზის აღორძინებით, რომელიც წარმატებულ რუსულ სოფელს ასხამდა ხოტბას. „პერესტროიკის“ წინ რეპრესიული რეჟიმის შესუსტებამ გაძლიერების საშუალება მისცა ამ ტენდენციას, რომელიც დიდწილად განსაზღვრავდა და ახლაც განსაზღვრავს იდეურ გარემოს პოსტსაბჭოთა სივრცეში.²

კავკასიური ომისა და ოსმალეთის იმპერიაში ჩერქეზთა მასობრივი ემიგრაციის შესახებ მოგონებები, კონტაქტები უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან იდეალურად ესადაგებოდა თემას „დაბრუნება ფესვებთან“. ჩერქეზი აქტივისტებიდან რიგი რესპოდენტებისა აღნიშნავს, რომ საზღვარგარეთ თანამემამულეებთან კავშირების გამყარების პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ 60-იანი წლებში გადაიდგა, როდესაც უცხოეთში საბჭოთა მაუწყებლობის არაბული რედაქციის კორესპონდენტმა კოზეტა ბეკმა დაიწყო ახლო აღმოსავლეთის ჩერქეზულ დიასპორასთან კონტაქტების დამყარება, თანაც ყაბარდო-ბალყარეთში მისი მუშაობა მხარდაჭერილ იქნა ყაბარდო-ბალყარეთის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის, ტიმბორა მაღბახოვის მიერ. 80-იანი წლების შუაში კავკასიაში უკვე აქტიურად მოქმედებდა საზოგადოება „სამშობლო“, რომელიც თანამემამულეებთან კავშირებზე ამხანაღებდა ყურადღებას.

80-იანი წლების ბოლოდან დაიწყო ჩერქეზული საზოგადოებების ინტეგრაცია საერთაშორისო ორგანიზაციებში. 1988 წლის ოქტომბერში ანკარაში ჩატარდა „ჩრდილოკავკასიური კულტურის კვირეული“, რომელიც XIX საუკუნის კავკასიური ომის დასრულების 125-ე წლისთავს მიეძღვნა. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების, ასევე უცხოეთის ადიღური საზოგადოების წარმომადგენლებმა სირიიდან, იორდანიიდან, აშშ-დან, გერმანიიდან, თურქეთის სხვადასხვა რაიონებიდან. მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელშიც საუბარი იყო სურვილზე, გაეცნოთ მსოფლიო ერებისთვის ჩერქეზული დიასპორის პრობლემები, მისი სწრაფვა, გაეფართოებინა

¹ Н. Силаев. «Черкесский вопрос» на черноморском курорте. <http://georgiamonitor.org/upload/medialibrary/dec/decf3b61dff317ed7e11eb3f5ea2a227f.pdf>

² С.А. Штырков. Прогрессивные народные традиции: обретение и изобретение (случай Северо-Осетинской АССР в 1960-е годы). / Общество как объект и субъект власти. Очерки политической антропологии Кавказа. СПб.: — «Петербургское востоковедение» — 2012.

კავშირები ისტორიულ სამშობლოსთან და ასევე, დიასპორის ნაწილის სურვილი, დაბრუნებულიყო ჩრდილოეთ კავკასიაში. 1991 წლის მაისში ნალჩიკში გაიმართა აშშ-ს, დასავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის ჩერქეზული ორგანიზაციების კონგრესი, რომელშიც ასევე მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის, ადიღეს, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის სამთავრობო დელეგაციებმა.

კონგრესზე დაფუძნდა ჩერქეზთა მსოფლიო ასოციაცია, რომელსაც მოგვიანებით ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაცია (ჩსა) დაერქვა. მისი პირველი პრეზიდენტი გახდა სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ბორის ელცინის თანამებრძოლი იური კალმიკოვი. ჩსა-ს პროგრამა მთავარ მიზნებად ისახავდა „ჩერქეზთა საზოგადოებრივი გაერთიანების — ჩსა-ს წევრების ძალისხმევით გაერთიანებასა და საქმიანობის კოორდინაციას, რაც ხელს შეუწყობს ჩერქეზი ხალხის კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის აღორძინებასა და განვითარებას, მისი ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას, ჩერქეზთა ნამდვილი ისტორიის აღდგენას“, აგრეთვე, „კანონით დადგენილი წესით“ იმ ჩერქეზთა დახმარებას, რომელთაც სურვილი აქვთ, დაუბრუნდნენ ისტორიულ სამშობლოს.

90-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა ჩერქეზული ეროვნული მოძრაობის დისკურსი, რომელიც ახლაც დომინირებს საჯარო სფეროში. მის ძირითად თემებად იქცა კავკასიური ომების მოვლენათა ჩერქეზთა გენოციდად აღიარების აუცილებლობა, ჩერქეზთა დიასპორის კავკასიაში რეპატრიაციისკენ მოწოდება და პერსპექტივაში — ერთიანი ჩერქეზული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის შექმნა ჩერქეზული კომპონენტის მქონე სამი რესპუბლიკის — ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ადიღეს ადგილას.

ნალჩიკელი მკვლევარი ასლან ბოროვი აღნიშნავს, რომ 90-იან წლებში ჩერქეზული ეროვნული მოძრაობისა და ფედერალური ხელისუფლების ურთიერთობები დაძაბული არ ყოფილა. ჯერ ერთი, რუსეთის ფედერაციაში მყოფი რესპუბლიკების სუვერენიზაციის პროცესი დიდწილად ისრუტავდა ეთნიკური აქტივისტების ენერჯიას და იმედს აძლევდა მათ, რომ დროთა განმავლობაში მოძრაობის ყველა მიზანი მიღწეული იქნება. მეორეც, რუსეთში ისტორიული წარსულის გადახედვის პროცესი მიმდინარეობდა, რომლის ფარგლებშიც კავკასიურ ომების მიმართ დამოკიდებულებაც გადაიხედებოდა; ამ პროცესის ნათელ პოლიტიკურ გამოხატულებად იქცა პრეზიდენტ ბორის ელცინის მიმართვა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისადმი, ამ ომის ტრაგიკულობის აღიარებითა და მისი ყველა მსხვერპლის მიმართ სამძიმროთ. მესამეც, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ცნობილი ჩერქეზული ორგანიზაციები ქართულ-აფხაზურ

კონფლიქტში უშუალოდ ჩართული არ იყვნენ, მათ არაერთხელ გამოხატეს თანაგრძნობა და მხარდაჭერა აფხაზური მხარის მიმართ. ამ პირობებში ისინი მზად არ იყვნენ, იდეოლოგიურ საკითხებში მოსკოვთან დაპირისპირებაზე წასასვლელად.

ასლან ბოროვი აღნიშნავს კიდევ ერთ გარემოებას: რუსეთის დამოკიდებულება დასავლეთთან 90-იანი წლების უმეტესი დროის განმავლობაში კარგი იყო და რუსეთის საზღვრებს გარეთ არ არსებობდა გავლენიანი ძალები, რომლებსაც იმპერიის ერთ-ერთ პერიფერიაში, მე-19 საუკუნის ისტორიული მოვლენების განმარტებების თაობაზე იდეოლოგიურ დაპირისპირებაზე თამაშის სურვილი ექნებოდათ.³

უნდა დავამატოთ, რომ რუსეთის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების სუვერენიზაცია, მართალია, უმრავლეს შემთხვევაში არ ნიშნავდა შესაბამისი ეთნიკური მოძრაობების პროგრამა-მაქსიმუმის სიტყვა-სიტყვით შესრულებას, თუმცა ეს მათი ხილული პოლიტიკური მიღწევა აღმოჩნდა. პრაქტიკაში კი ეს ნიშნავდა, რომ ადრინდელი პუბლიცისტებმა, ეთნიკურმა აქტივისტებმა, ეთნიკურ ორგანიზაციათა ლიდერებმა რუსულ სახელისუფლებო სტრუქტურებში სტატუსური პოზიციები დაიკავეს და რუსულ პოლიტიკაში იყვნენ ინტეგრირებული.

ყაბარდო-ბალყარეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ადიღეში „ადიღე ხასეს“ ისტორიას თუ გადავხედავთ, რთული იქნება, არ შევნიშნოთ, რომ ყველაზე გვიან, 2000-იანი წლების ების მიჯნაზე ისინი არაფორმალური გავლენიანი პოლიტიკური ძალიდან, რომელიც ოპონირებას უწევდნენ რესპუბლიკაში დამყარებულ წესრიგს, თანდათან ამ წესრიგის დასაყრდენად იქცნენ. სადღაც ეს მოხდა რესპუბლიკური პოლიტიკური ელიტების მხრიდან მეტ-ნაკლებად ღია ზეწოლის შედეგად მოხდა და ამ შემთხვევაში ბევრი გავლენიანი აქტივისტი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა; სხვაგან ასეთი ევოლუცია ბუნებრივად — რეგიონული ელიტების კონსოლიდაციის პროცესის ჩარჩოებში მოხდა.

ფედერალური ხელისუფლება ამ პროცესების მიმართ სრულიად გულგრილი იყო. ჩეჩნეთში ომის ფონზე, რომელიც 1996 წელს მყიფე მშვიდობით შეწყდა და 1999-ში განახლდა, მოსკოვისთვის საკმაო იყო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის დანარჩენ ტერიტორიაზე სახელმწიფო წესრიგისა და სტაბილურობის გარეგნული კონტურები შენარჩუნებული იყო. გარდა ამისა, მოსკოვს უბრალოდ არ გააჩნდა რესურსები აქტიური რეგიონული პოლიტიკისათვის; პირიქით, როგორც 1999-2000 წლების საარჩევნო ციკლმა აჩვენა, ფედერალური პოლიტიკური ელიტები იძულებულნი იყვნენ, რეგიონების მხარდასაჭერის მოსაპოვებლად ებრძოლათ.

ფედერალურ ხელისუფლებასა და ჩერქეზულ ეთნიკურ მოძრაობას (ამ სიტყვის ფართო გაგებით — ფაქტობრივად მასში რუსეთის ფედერაციის „სატიტულო“ სუბიექტების ელიტების ჩათვლით)

³ А.Х. Боров. «Черкесский вопрос как историко-политический феномен». Нальчик: — Издательство Кабардино-Балкарского научного центра РАН — 2013.

შორის ურთიერთობების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა 20 (სხვა მონაცემებით 38) ჩერქეზული ოჯახის რეპატრიაცია ომის ქარცეცხლში გახვეული კოსოვოდან. რეპატრიანტები ფეხედრალური ხელისუფლების სახსრებით, საგანგებო სიტუაციების სამინისტროს თვითმფრინავებით გამოიყვანეს, ადიღეში მათთვის აშენდა სოფელი მაფენაბლი („ბედნიერი სოფელი“). ყველა ეს მოვლენა დაწვრილებით და კოსოვოელი ადიღების მიმართ სიმპატიით შექდებოდა ფედერალურ ტელეარხებზე.

2000 წლიდან დაწყებული, რუსეთში ფედერალურ ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობის შეცვლა დაიწყო. ფედერაციის საბჭოს რეფორმის შედეგად რესპუბლიკების გუბერნატორებმა და პრეზიდენტებმა რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის წევრთა სტატუსი დაკარგეს; დაიწყო რეგიონული კანონმდებლობების შემოწმება ფედერალურთან შესაბამისობაზე; შეიქმნა ფედერალური ოლქები პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლებით, რომლებიც თუმცა არ ფლობდნენ მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს, რაც შემთხვევებში რეგიონებსა და მოსკოვს შორის შუალედურ ადმინისტრაციულ ინსტანციებად იქცნენ; საბიუჯეტო რეფორმა, რომელმაც კონსოლიდირებული ბიუჯეტის პროპორციები პოზიციები განსაზღვრა არა რეგიონების სასარგებლოდ; და ბოლოს, 2004 წელს რეგიონთა მეთაურების არჩევნებზე უარი ითქვა. ყოველივე ამან რუსულ პოლიტიკაში თამაშის ახალი წესები ჩამოაყალიბა.

თავად ამ ძვრებს რუსეთის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების ეთნიკური მოძრაობების აქტივიზაცია არ გამოუწვევია. თუმცა, იგი იმ პოლიტიკური შესაძლებლობების უნიკალური სტრუქტურის ელემენტი გახდა, რომელიც წინა ათწლეულის შუაგულში ჩერქეზული მოძრაობისთვის ჩამოყალიბდა და რომლის წყალობითაც „ჩერქეზული საკითხი“ დღევანდელი სახით დაისვა.

პოლიტიკური შესაძლებლობების ეს სტრუქტურა რამდენიმე — როგორც ფუნდამენტური, ასევე დიდწილად შემთხვევითი ფაქტორებისგან ჩამოყალიბდა. პირველს განეკუთვნება ის ფაქტორი, რომ 2000–იანებში, 90–იანი წლებისგან განსხვავებით, რუსეთის ეკონომიკური სიტუაცია

მნიშვნელოვნად შეიცვალა. ეკონომიკურმა ზრდამ, ფედერალური საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების რეგიონებში შესვლამ, ქვეყნის შიგნით გაძლიერებულმა მიგრაციულმა ნაკადებმა, უმაღლესი განათლების სივრცეში ინტეგრაციის დაწყებამ (ერთიანი ეროვნული გამოცდის წყალობით დედაქალაქის უნივერსიტეტები უფრო ღია გახდა რეგიონების აბიტურიენტთათვის) ჩრდილო კავკასიური რესპუბლიკების ადრინდელი კარჩაკეტილობის ნგრევას შეუწყო ხელი. ირიბად ეს ურბანიზაციასა და ასიმილაციას აძლიერებდა. ფედერალური ხელისუფლების პოლიტიკური ძალაუფლების ზრდამ, მათმა კურსმა რეგიონული ელიტების ადრინდელი სრული ძალაუფლების შეზღუდვამ 90–იანი წლების სუვერენიზაციას ზღვარი დაუდო.

და ბოლოს, მესამე ფუნდამენტურ ფაქტორად იქცა ფედერალური პოლიტიკური კლასის თავისებური და დამოუკიდებელი ანალიზის ღირსი დისკურსი ეთნიკური მოძრაობების, ნაციონალიზმის (უფრო სწორედ ნაციონალიზმების) და ქვეყნის დეზინტეგრაციის რისკების შესახებ. საერთო ადგილი აქ დაიკავა მოსაზრებამ, რომ ეთნიკურმა მოძრაობებმა გამოიწვიეს საბჭოთა კავშირის კრახი და პოტენციურად შეუძლიათ ასევე დამანგრეველი შემოქმედება იქონიონ რუსეთის ფედერაციაზე. თუმცა, ჩვენი აზრით, აქ ერთმანეთშია არეული სახელმწიფოს დეზინტეგრაციის გარეგნული გამოვლინებები და ამ მოვლენის სოციალ-პოლიტიკური არსი, ეს მოსაზრება კვლავაც გავლენიანია.⁴ პრაქტიკაში ეს იმაში გამოიხატება, რომ ხელისუფლებაც და მედია საზოგადოებაც მგრძობიარეა ეთნიკურად შეფერილი ნებისმიერი პოლიტიკური პროტესტის მიმართ, მიუხედავად მისი ძალისა, ფორმისა, საგნისა ან სოციალური ბაზისა. ბოლო წლებში ჩერქეზული ეთნიკური მოძრაობის განვითარებაში ეს ფაქტორი თითქმის განმსაზღვრელი აღმოჩნდა.

რაც შეეხება შემთხვევით ფაქტორებს, რომლებმაც პოლიტიკური შესაძლებლობების სტრუქტურა ჩამოაყალიბეს, ასეთები იყო, პირველ რიგში, ადიღეს რესპუბლიკის კრასნოდარის ოლქთან შეერთების პერსპექტივების განხილვა 2004–2005 წლებში, ხოლო მეორე — სოჭის ოლიმპიადის პროექტი.

ადიღეს კრასნოდარის ოლქში შემავალი ავტონომიიდან ფედერაციის დამოუკიდებელ

⁴ არსებობს საბჭოთა კავშირის დაშლის გაცილებით უფრო ადეკვატური და არგუმენტირებული ახსნა, ვიდრე კალაპოტიდან გადმოსული რესპუბლიკური ნაციონალიზმები. მაგალითისთვის, გიორგი დერლუგიანი ყურადღებას აქცევს იმას, რომ სსრკ დაიყო არა იმდენად ეთნიკური საზღვრების, არამედ გავლენიანი ნომენკლატურული, პატრონ-კლიენტური ქსელების საზღვრების მიხედვით. იხ. Г. Дерлугьян. Адепт Бурдые на Кавказе. М.: — «Территория будущего» — 2010. ევრო გაიდარი წერდა უმძიმეს საბიუჯეტო კრიზისზე, რომელმაც საბჭოთა კავშირი უკანასკნელ წლებში მოიცვა და რომელიც წინა ათწლეულების ეკონომიკური პოლიტიკის ფატალური შეცდომების კანონზომიერ შედეგს წარმოადგენდა. იხ. E.T. Гайдар. Гибель империи. Уроки для современной России. М.: - РОССПЭН — 2006. საერთოდ, თეზისი რუსეთში ეთნიკური მოძრაობებისგან მომდინარე პოლიტიკური საფრთხის შესახებ პოლიტიკურად მოტივირებული ჩანს. რესპუბლიკების ელიტათა ნაწილს, აგრეთვე არასისტემურ ეთნიკურ აქტივისტებს ეს ეხმარება, უფრო ძვირად გაყიდონ საკუთარი ლოიალობა, ან პირიქით, საკუთარ არალოიალურობას უფრო მაღალი ფასი დაადონ იმ დროს, როცა საქსპერტო და მედია საზოგადოების ნაწილი, რომელიც კარიერას იკეთებს ამგვარ საფრთხესთან იდეოლოგიურ ბრძოლაზე, ასევე დაინტერესებულია ქვეყნის ეთნიკური მრავალფეროვნების თემის ირგვლივ განგაშის შენარჩუნებაში.

სუბიექტად ქცევა ჩერქეზი აქტივისტების მიერ თავად რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ ფასდება, როგორც მათი მნიშვნელოვანი გამარჯვება, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და ჩერქეზთა თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტია. ამიტომ 2004 წლის ბოლოს ინფორმაციულ სივრცეში რესპუბლიკის ოლქთან გაერთიანების თემის გაჩენამ — კრასნოიარსკის მხარესთან ევენკური და ტაიმირის ავტონომიური ოლქების გაერთიანების, პერმის ოლქისა და კომი-პერმიაცკის ავტონომიური ოლქის პერმის მხარეში შერწყმის ანალოგიურად, ეროვნული ორგანიზაციების შემოფოთება გამოიწვია.

გაერთიანების შესახებ დისკუსია დაიწყო კრასნოდარის მხარის გუბერნატორის, ალექსანდრ ტაჩოვის მიერ 2004 წლის დეკემბრის ბოლოს გაკეთებული განცხადებით. მან რესპუბლიკის მხარეში დაბრუნების ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესახებ განაცხადა. მოგვიანებით გუბერნატორმა უარყო თავისი სიტყვები. მსგავსი განცხადება, რომელიც შემდგომში ასევე უარყვეს, გააკეთა მხარის ვიცე-გუბერნატორმა მურატ ახეჯაკმა. მოგვიანებით ცესკო-ს თავმჯდომარემ ალექსანდრ ვეშნიაკოვმა ადიღე და კრასნოდარის მხარე იმ რეგიონთა შორის დაასახელა, რომლებშიც გაერთიანების შესახებ რეფერენდუმები უნდა ჩატარდეს.

ადიღეს ჩერქეზული ორგანიზაციებმა რესპუბლიკის ხელისუფლების მხარდაჭერით გაერთიანების წინააღმდეგ საკმაოდ ემოციური კამპანია წამოიწიეს.⁵ კამპანიას ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაციაც შეუერთდა. კამპანიაში ასევე მონაწილეობს ისრაელისა და იორდანის ჩერქეზული ორგანიზაციები. მისპიკადიქცამაიკოპში ჩატარებული მიტინგი რესპუბლიკის შენარჩუნების ლოზუნგით, რომლის ორგანიზებაშიც აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის ხელისუფლება.

შედეგად ოლქის რესპუბლიკასთან გაერთიანება გადაიდო. ჩერქეზულმა ეროვნულმა ორგანიზაციებმა რესპუბლიკის ხელისუფლებასთან ერთად შეძლეს საკუთარი ძალისა და გავლენის დემონსტრირება. გაერთიანების საწინააღმდეგო კამპანიას მედიაში ძლიერი ეფექტი ჰქონდა. საინფორმაციო სივრციდან ფაქტიურად განიდეგნა სიუჟეტები, რომლებიც მხარს არ უჭერდა ვერსიას რესპუბლიკის მხარესთან შერწყმის გამო ჩერქეზთა საყოველთაო აღმფოთებას და რუსეთისთვის, ამ გეგმის შესრულების შემთხვევაში, თითქმის ახალი

„სუვერენიტეტების აღდგენის“ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

კერძოდ, მედიაში არ მოხვდა ინფორმაცია პარალელურად სოფელ იაბლონოვსკიში (კრასნოდარის გარეუბანი, ადიღეს შემადგენლობაში) გაერთიანების მოთხოვნით ჩატარებული მიტინგის შესახებ, რომელშიც რუსებიც და ადიღებიც მონაწილეობდნენ. ასევე, იმ ხელმოწერების შესახებ, რომლებიც გაერთიანების მხარდასაჭერად შეაგროვა „ადიღეს სლავთა კავშირმა“ (ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, შეგროვდა ოცი ათასი ხელმოწერა საპასპორტო მონაცემებით.)

ადიღეს სტატუსის შენარჩუნებისთვის ბრძოლა პრეცედენტად და მოდელად იქცა. ჯერ ერთი, ჩერქეზ აქტივისტებს, რომლებმაც ხმამაღლა განაცხადეს სტატუსის დაკარგვის საფრთხისა და ამ საკითხთან დაკავშირებით თავის უკმაყოფილების შესახებ, შეეძლოთ, გამარჯვება ეხეიმათ, როდესაც ჭორები ჭორებად დარჩა. მეორეც, მათთვის საკმარისი აღმოჩნდა, მიეტანათ თავისი სიტყვები რამდენიმე უმსხვილეს გაზეთამდე, ინტერნეტ-საიტამდე და რადიო-სადგურამდე, რათა მიმდინარე მოვლენები საზოგადოების მიერ აღქმული ყოფილიყო, როგორც შელახული ეროვნული გრძნობების ნიადაგზე აღმოცენებული ძლიერი სახალხო მისწრაფება. მესამეც, მთელ მსოფლიოში წარმატებით შეიქმნა ჩერქეზული დიასპორის მობილიზაციის ეფექტი, რის გამოც ეროვნული უმცირესობების დროშის ქვეშ რუსეთის საშინაო საქმეებში გარედან ჩარევის აზრდელი გაჩნდა. მეოთხეც, ჩერქეზი აქტივისტები ამ ეფექტის წყალობით ფედერალურ „ნიუსმეიკერებად“ იქცნენ, და ამან თავი იჩინა, როდესაც დღის წესრიგში სოჭის ოლიმპიადა აღმოჩნდა.

ორი წლის შემდეგ რუსეთის წინადადებას სოჭში ოლიმპიადის ჩატარების შესახებ 2005 წელს მიღწეული შედეგი გააძლიერა. სოჭი — ჩერქეზული ეროვნული მოძრაობისთვის ნიშანდობლივი ადგილია. სწორედ კრასნაია პოლიანაში, სადაც გაიმართება ოლიმპიური შეჯიბრებების ნაწილი, 1864 წლის მაისში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის იმპერიის ჯარის ნაწილები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებიდან უტევდნენ მთებში და დევნიდნენ მოსახლეობა ყუბანის ზეგანზე ან ზღვისპირეში, ოსმალეთის იმპერიაში ემიგრაციისთვის. რამდენიმე წლით ადრე, იმპერიასთან მეზობლ ჩერქეზთა ბელადებს ბოლო მცდელობა ჰქონდათ, გაერთიანებინათ თავიანთი ძალები დაპირისპირებისათვის და სწორედ სოჭში მდებარეობდა მეჯლისი — მეზობლთა გაერთიანების სახელისუფლებო ორგანო.

სოჭში ოლიმპიადის ჩატარების წინააღმდეგ პროტესტი არ იყო იმდენად კონსოლიდირებული, როგორც ადიღესა და კრასნოდარის მხარის შეერთების გამო — ბევრმა ჩერქეზულმა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა ოლიმპიადას, მოითხოვა მის კულტურულ პროგრამაში ჩერქეზული კომპონენტის ჩართვა. სახალხო კამპანია ლოზუნგით „სოჭი- გენოციდის მიწა“ შედარებით ნაკლებ ხანს

⁵ ადიღეს „ადიღე ხასეს“ განცხადებაში რეგიონთა გაერთიანების საკითხზე რეფერენდუმის შესახებ ნათქვამია: „ასეთივე წარმატებით ავანტიურისტ პოლიტიკოსებს შეუძლიათ შემოგვთავაზონ რეფერენდუმი ადიღე ხალხის გადასახლებაზე უკიდურეს ჩრდილოეთში, რათა საბოლოოდ გადაწყდეს „ადიღური საკითხი“. «Общественное движение «АдыгэХасэ» Адыгеи выступило с заявлением» — ИА «Регнум» — 24 января 2005 г. — <http://www.regnum.ru/news/394131.html#ixzz2Cf9jGgNj>

გაგრძელდა და მასობრივი არ ყოფილა. თუმცა მასში მკვეთრად გამოჩნდა ჩერქეზი აქტივისტების ძალის მთავარი წყარო — საერთაშორისო ეთნიკური ორგანიზაციები და ქსელები, რომლებიც მთელი მსოფლიოს დიასპორებს აკავშირებდნენ. ასე, კამპანიის ერთ-ერთი ხმაურიანი ეპიზოდი გახდა „ჩერქეზულმა კულტურულმა ინსტიტუტის“ მიერ ორგანიზებული სოჭის ოლიმპიადის საწინააღმდეგო პიკეტი ვანკუვერში, 2010 წლის ოლიმპიადის დედაქალაქში. ეს ორგანიზაცია აშშ-ში, ნიუ ჯერსის შტატში მდებარეობს.

ვითარებას ნევროზულობას ჰმატებდა ისიც, რომ 2008 წლის ზაფხულის პეკინის ოლიმპიადის ტიბეტში მასობრივი არეულობების აკომპანემენტის ქვეშ ჩატარდა, თანაც ტიბეტელ მომიტინგეებს ჩინეთის ფარგლებს გარეთ ენერგიულად უჭერდნენ მხარს. მიუხედავად საეჭვო ანალოგიისა ტიბეტსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას შორის, ტიბეტელთა და ჩერქეზთა პროტესტებს შორის, მსხვილი სპორტული მოვლენის ფონზე გარე ჩარევის პრეცედენტი გაჩნდა. ოლიმპიადის სოჭში მოწოდებულია, გახდეს რუსეთის უმსხვილესი საიმიჯო პროექტი და მოსკოვური პოლიტიკური წრეების მწვავე რეაქცია მისი გამართვის საწინააღმდეგო კამპანიაზე სრულიად პროგნოზირებადი იყო.

ამავე დროს, „ჩერქეზული საკითხის“ თავისებურებად რჩებოდა გარკვეული პოლიტიკური მოქნილობა და არაერთმნიშვნელობა. ჩერქეზები საერთოდ და ეთნიკური აქტივისტები კერძოდ, გარდაუვლად ჩნდებოდნენ მრავალფეროვან სიტუაციებში და ფართო სპექტრის ალიანსებს ქმნიდნენ.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ჩერქეზული ორგანიზაციები მიესალმნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთშიც. 2008 წლის სექტემბრის დასაწყისში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი თურქეთში ვიზიტისას თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედი ჩერქეზული ეროვნული ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. იმავე წლის ოქტომბერში აფხაზური დელეგაცია, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების შემადგენლობით, ევროპარლამენტში სიტყვით წარსდგა ე.წ. „ჩერქეზული დღის“ ფარგლებში, რომელიც იქ რეგულარულად ტარდება. თანაც ორივე მოვლენა, როგორც მოგვიანებით ვნახავთ, ჩერქეზულ ეთნიკურ ორგანიზაციებს, უცხოეთის სათემოებსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის საკმაოდ განვითარებული თანამშრომლობის მხოლოდ ეპიზოდებს წარმოადგენდა.

და ბოლოს, ჩერქეზი აქტივისტების უკანასკნელი საჯარო კამპანია გახდა მოწოდება რუსეთის ხელისუფლებისადმი, კონფლიქტის აღშიგნველი სირიიდან კავკასიაში გადმოეყვანათ ჩერქეზები,

ან თუნდაც განსაკუთრებული პირობები შეექმნათ მათთვის ქვეყანაში შემოსასვლელად.

მიმდინარე ათწლეულში „ჩერქეზული საკითხი“ ნელ-ნელა კარგავს თავის პოლიტიკურ სიმწვავეს. სოჭის ოლიმპიადის საწინააღმდეგო კამპანია თანდათან ინაველება. რუსეთის ხელისუფლება ავლენს ნებას, რათა აღმოფხვრას წინააღმდეგობები ადრე გაჩენილი ისტორიულ სიმბოლოებს შორის: მიღებულია გადაწყვეტილება კავკასიურ ომში ყველა დაღუპულისთვის ძეგლის დასადგმელად; როგორც ჩანს, ოლიმპიადის კულტურულ პროგრამაში ჩერქეზული კომპონენტი ჩართული იქნება. სტაბილურად ეცემა მედიის ინტერესი იმ ჩერქეზი აქტივისტების მიმართ, რომლებიც ყველაზე შემტევი გამონათქვამებით არიან ცნობილი.

როჯერს ბრუბეიკერი წერს, რომ მკვლევართა ყურადღების ფიკუსში, ჩვეულებრივ, შემდგარი ეთნიკური მობილიზაციები ხვდება, თუმცა წარუმატებელი ბევრად მეტი იყო.⁶ „ჩერქეზული საკითხი“ — სწორედ ის შეუძღვარი ეთნიკური მობილიზაციაა, რომლის განხილვასაც შეუძლია ახსნას ზოგიერთი კავშირი ეთნიკურსა და პოლიტიკურს შორის ჩრდილოეთ კავკასიაში.

ბრენდის ერთიანობა — მრავალი ინტერესი

„ჩერქეზული საკითხის“ არსებობის ბევრი სოციალ-პოლიტიკური მექანიზმი ვლინდება არა ეთნიკურ მოძრაობასა და ფედერალური ხელისუფლების ურთიერთობების ანალიზში, არამედ უფრო დაბალ დონეზე — რეგიონულ პოლიტიკაში მისი აქტივისტების როლის კვლევაში.

ჩერქეზული ჯგუფის ერები რუსეთში ცხოვრობენ ყაბარდო-ბალყარეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში და ადიღეში. მათი მცირე დასახლებები არის ასევე კარსნოდარის მხარეში, სამხარეო დედაქალაქთან, ასევე სოჭის ლაზარევსკის რაიონში, სადაც რამდენიმე სოფელში ცხოვრობენ შაპსუდები (ერთ-ერთი ჩერქეზული ეთნიკური ჯგუფი), მათი შთამომავლები, ვინც მუჰაჯირობის დროს გადასახლებას გადაურჩა.

ყველა ამ ტერიტორიაზე მოქმედებენ ჩერქეზული ორგანიზაციები, მეტ-ნაკლებად აქტიურები და დინამიურები. სხვადასხვა ტერიტორიების „ადიღე ხასეები“ შედიან ჩსა-ში, ამასთან, იქ თანაბარი წარმომადგენლობა აქვთ. სხვადასხვა რეგიონის ხელისუფლებებს, მეწარმეებს, ეთნიკური ორგანიზაციების ლიდერებს შორის თანამშრომლობა არსებობს. ასე, ადიღეს თანამემამულეებთან კავშირების კომიტეტის წარმომადგენლები მიმართავენ ყაბარდო-ბალყარეთის სენატორ ალბერტ კაჟაროვს, ადიღეში მცხოვრები ჩერქეზი რეპატრიანტებისთვის ფორმალური საპასპორტო-საკვიზო დაბრკოლებების აღმოფხვრაში დასახმარებლად. მეწარმე ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან ვიჩესლავ დერევი ახორციელებს მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო პროექტებს ყაბარდო-ბალყარეთსა და ადიღეში. სოჭელი შაპსუდების „ადიღე ხასე“, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკისა და ადიღეს

⁶ P. Брубейкер. Этничность без групп. М.: — Высшая школа экономики — 2012.

ხელმძღვანელობის შექმნილი და გავლენიანი წარმომადგენლების მხარდაჭერას იღებს, მათ შორის, ფინანსურსაც.

ამავე დროს „ჩერქეზულ“ რესპუბლიკებში არსებობს უამრავი ეთნიკური ორგანიზაცია, რომლებიც არ შედიან ჩსა-ს შემადგენლობაში და არცთუ იშვიათად რეგიონალური ხელისუფლების ოპოზიციას წარმოადგენენ. ასეთი ორგანიზაციები ორ-სამ ათეულამდეა, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობის დასახელება რთულია: ზოგიერთი მათგანი საქმიანობას წყვეტს, ზოგიერთი ალიანსში შედის, კმნის ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურებს. ასეთი ორგანიზაციების უმრავლესობა არ არის მრავალრიცხოვანი თავისი შემადგენლობით, პოლიტიკურად და რესურსულად სუსტია. ყოველ რეგიონში „ჩერქეზული საკითხი“ იძენს საკუთარ თავისებურებებს, ხოლო აქტივისტები ლოკალური ინტერესებისა და დაპირისპირებების რთულ ქსელში აღმოჩნდებიან ხოლმე ჩართულნი.

ამ ქსელის ძირითადი წერტილებია: ეთნიკური მოძრაობის შიგნით არსებული განსხვავებული ჯგუფების ურთიერთობები, ჩერქეზული ორგანიზაციებისა და ხელისუფლების ურთიერთობები, ურთიერთქმედება სხვა ეთნიკურ მოძრაობებთან და ისტორიული მენსიერების სხვა ვერსიების მატარებლებთან, ურთიერთქმედება ისლამთან.

ყაბარდო-ბალყარეთისა და ადიღესთვის დამახასიათებელია წინააღმდეგობები „ოფიციალურებს“ — რომლებსაც მხარს უჭერს ხელისუფლება და ინტეგრირებულნი არიან რესპუბლიკურ ისტებლიშმენტში და „ოპოზიციურ“ ჩერქეზულ ორგანიზაციებს შორის. „ოფიციალურ“ „ადიღე ხასეებთან“ ერთად არსებობენ ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ორგანიზაციები, როგორცაა მურატ ბერზეგოვისა და ხასე იბრაგიმ იაგანოვის „ჩერქეზული კონგრესი“.

„ოფიციალურებსა“ და „ოპოზიციურებს“ შორის დოქტრინალური განსხვავებები უმნიშვნელოა. არსებითად, ისინი მხოლოდ ფედერალური და რეგიონალური ხელისუფლების მიმართ რიტორიკით განსხვავდებიან. ბოლო წელიწადნახევრის—ორი წლის მანძილზე კავკასიური ომის გენოციდად აღიარების საკითხში შეიმჩნევა პოზიციების ოდნავი შერბილების ტენდენცია „ოფიციალური“ ორგანიზაციების მხრიდან: ხანდახან მათი წარმომადგენლები ამბობენ, რომ „ჩერქეზებს არ ახასიათებთ საკუთარი თავის მსხვერპლად მიჩნევა“.

ყარაჩაი-ჩერქეზეთში „ოფიციალურ“ და „ოპოზიციურ“ ორგანიზაციებად დაყოფა არ შეიმჩნევა, შესაძლოა, მათ შორის იმიტომაც, რომ ჩერქეზები რესპუბლიკაში უმცირესობას წარმოადგენენ. რეგიონულ ხელისუფლებასთან

მწვავე დაპირისპირებები იმ პერიოდში, როდესაც ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკას ბორის ებზევევი მეთაურობდა, საკადრო საკითხებს ეხებოდა: ებზევემა თავიდან უარი განაცხადა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ეთნიკური ჩერქეზის დანიშვნაზე, ხოლო შემდეგ პარლამენტმა სამჯერ უთხრა უარი, მეწარმე ვიჩესლავ დერევის კანდიდატურა წაეყენებინა სენატორის პოსტზე. რესპუბლიკის ახალი მეთაურის, რაშიდ ტემრეზოვის მოსვლასთან ერთად ტრადიციული საკადრო ბალანსი აღდგა. სწორედ მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობისთვის ბრძოლის ფონზე 2008 წლის ნოემბერში ჩერქესკში გაიმართა ჩერქეზი ხალხის საგანგებო ყრილობა, რომელზეც ყრილობის ახალგაზრდულმა ფრაქციამ რუსეთის ფედერაციის ერთიანი ჩერქეზული სუბიექტის შექმნა მოითხოვა.

„ოფიციალურებად“ და „ოპოზიციურებად“ ორგანიზაციათა დაყოფა ასევე არ არის სოჭის ლაზარევსკის რაიონის შაპსულებში. მცირერიცხოვანი საზოგადოებისთვის ამგვარი პოლიტიკური უთანხმოებები ფუფუნებაა, რომლის უფლებასაც ისინი საკუთარ თავს ვერ მისცემენ. რამდენადაც შეგვიძლია განვსაჯოთ, გარკვეული დაპირისპირებები შაპსულურ „ადიღე ხასეს“ აქტივისტებს შორის არსებობს, თუმცა ისინი ორგანიზაციულ ერთობას საფრთხის ქვეშ არ აყენებენ. შაპსულთა თემი ჩერქეზული მოძრაობისთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებს. სოჭის ლაზარევსკის ადმინისტრაციული რაიონისა და კრასნოდარის მხარის ტუაფსეს მუნიციპალური რაიონის აულები ძველი ჩერქეზეთის ნამსხვრევი, მისი ცოცხალი მოგონებაა. მათ შენარჩუნებას და განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩერქეზული მოძრაობისთვის. ამიტომ, რამდენადაც შეგვიძლია აღვნიშნოთ, შაპსულური ხასე ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, ამ ლოკალური საზოგადოების პრაქტიკული ინტერესების უზრუნველყოფაზე ამახვილებს და ნაკლებად ისახავს ისეთ გლობალურ საკითხებს, როგორც კავკასიური ომის გენოციდად აღიარება ან მუჰაჯირების შთამომავლების ისტორიულ სამშობლოში რეპატრაცია.⁷

ჩერქეზული ეთნიკური მოძრაობის ურთიერთობა ყაბარდო-ბალყარეთისა და ადიღეს ხელისუფლებასთან განისაზღვრება იმით, „ოფიციალურებს“ თუ „ოპოზიციურებს“ მიეკუთვნება ესა თუ ის ორგანიზაცია ან აქტივისტი. ბევრი „ოპოზიციური“ აქტივისტი აღნიშნავს, რომ მოსკოვიდან დანიშნულ და მის წინაშე ანგარიშვალდებული რესპუბლიკური ხელისუფლება შედარებით არადამოუკიდებელია. დამოუკიდებლობის არქონა, როგორც ისინი მიიჩნევენ, ხელს უშლის რესპუბლიკის მეთაურსა და მის აპარატს, დაიკავოს ნათელი და პრინციპული პოზიცია „ჩერქეზული საკითხის“ მიმართ.

თუმცა რთულია, სამართლიანად ვაღიაროთ დასკვნა ორი რესპუბლიკის ხელისუფლებების გულგრილობის შესახებ ჩერქეზული ეროვნული

⁷ H. Силаев. «Черкесский вопрос» на черноморском курорте. <http://georgiamonitor.org/upload/medialibrary/dec/decf3b61df317e7e11eb3f5ea2a27f.pdf>

მოძრაობის ინტერესებისა და მიზნების მიმართ. ფაქტები უფრო „ჩერქეზულ საკითხში“ ხელისუფლების ჩართულობაზე მეტყველებს. ასე, დაახლოებით ორასი სირიელ ჩერქეზეთა ოჯახი ცხოვრობს ნალჩიკის სანატორიუმებსა და სასტუმროებში, რესპუბლიკური ბიუჯეტისა და ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ისტებლიშმენტის დახმარებით შეგროვებული საქველმოქმედო დახმარების ხარჯზე. ადიღეს ხელმძღვანელობა უფრო თავშეკავებულად ეკიდება სირიულ თემს. ასე, სირიის ჩერქეზული თემის წარმომადგენლების ვიზიტისას რესპუბლიკის მეთაური არ შეხვდა მათ, რაც მკვეთრად ნეგატიურად იქნა აღქმული „ოპოზიციური აქტივისტების“ მიერ.

იმავე დროს, ადიღეს ძალოვანი სტრუქტურები რეპატრიანტებს დახმარებას უწევენ, ცდილობენ არ მიანიჭონ ამას დიდი საჯარო რეზონანსი და პოლიტიკური ჟღერადობა. რესპუბლიკაში წამოიწყო კამპანია სირიელი ჩერქეზებისთვის საქველმოქმედო დახმარების შესაგროვებლად, ამასთან ზოგიერთი მუნიციპალიტეტის ხელისუფლება მზადყოფნას გამოთქვამდა, მოეძიებინა ცარიელი სახლები, რომელთა მფლობელებიც მზად არიან დაუთმონ ისინი გადმოსახლებულებს.

ყაბარდო-ბალყარეთში დიდი ხანია, არსებობს ჩერქეზული დიასპორიდან ბავშვების რესპუბლიკაში დასასვენებლად დაპატიჟების პრაქტიკა. მისი მხარდაჭერა ძნელი იქნებოდა, სულ მცირე, რესპუბლიკური ადმინისტრაციის კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის გარეშე. ნალჩიკის უმაღლეს სასწავლებლებში წავლობენ სტუდენტები დიასპორიდან, ამასთან მათი რაოდენობა ყაბარდო-ბალყარეთის ერთ უნივერსიტეტში ასეულობით ითვლება. ყბსუ-ს ბევრი პროფესორი ჩერქეზთა საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელობაში შედის, რაც აძლიერებს თანამშრომლობას უნივერსიტეტსა და უცხოეთის ჩერქეზულ სათემოებს შორის.

მუშაობა ჩერქეზულ დიასპორასა და რეპატრიანტებთან, არსებითად, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციისა და ეროვნული ორგანიზაციების მიერ დუბლირდება. მაგალითად, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო კომიტეტში არსებობს თანამემამულეებთან ურთიერთობის განყოფილება. არსებობს თანამემამულეთა საკითხების სახელისუფლებო კომისიაც, რომლის მუშაობაც გააქტიურდა სირიაში სიტუაციის გამწვავების შემდეგ.

ორივე რესპუბლიკის მთავრობები ორგანიზებას უწევენ და ატარებენ ცერემონიებს 21 მაისს, აღნიშნავენ სხვა სამახსოვრო თარიღებს (მაგალითად, ჩერქეზული სამოსის დღეს), აფინანსებენ დღესასწაულებს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან. ყაბარდო-ბალყარეთის მეთაური არსენ კანოკოვი იყენებს ჩერქეზულ სიმბოლიკას (თორმეტი ვარსკვლავი, სამი ისარი მწვანე ფონზე — დროშა, რომლითაც ჩერქეზები კავკასიურ ომში

იბრძოდნენ) მისი კუთვნილი ჯგუფის „სინდიკას“ კომპანიების ლოგოტიპებში. თავად ეს დასახელებაც ჩერქეზულ ისტორიას ეხება — ეს სახელი ჰქონდა მეოტების (სინდების) სახელმწიფოს, რომელიც ნახსენებია ჰეროდოტეს მიერ და მდებარეობდა ახლანდელი ნოვოროსიისკისა და ყუბანის შესართავს შორის; ჩერქეზი ისტორიკოსები მეოტებს ჩერქეზთა წინაპრებად თვლიან, თუმცა საკითხი მათი ენობრივი კუთვნილების შესახებ საკამათოდ რჩება. ჩერქეზული სიმბოლიკა ასევე განჩნდა საფეხბურთო გუნდ „სპარტაკ-ნალჩიკის“ ფორმაზე მას შემდეგ, რაც კანოკოვი ყაბარდო-ბალყარეთს ჩაუდგა სათავეში. ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის სენატორი ალბერტ კაჟაროვი, წარსულში კანოკოვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხელმძღვანელობდა ჩსა-ს პირველი პრეზიდენტის, რუსეთის იუსტიციის მინისტრის, იური კალმიკოვის სახელობის ფონდ „ადიღეს“.

„ჩერქეზული საკითხი“ ორი „სატიტულე“ ჩერქეზული რესპუბლიკის ხელისუფლებისთვის დამატებითი ლეგიტიმურობის წყაროს წარმოადგენს. ამასთან, ისინი არ არიან დაინტერესებულნი თემის უმართავი პოლიტიზაციით, და ამ თვალსაზრისით „ოპოზიციონერი“ აქტივისტებისგან მომდინარე საფრთხეს ხედავენ, რომლებიც საჯაროდ მკვეთრად აყენებენ ხისტ ლოზუნგებს, მოთხოვნებსა და მოწოდებებს. ხელისუფლებას უჭირს, მოუგოს აქტივისტებს, საჯარო დაპირისპირებისას იმ საკითხში, თუ ვინ უფრო აქტიურად და თანმიმდევრულად მოითხოვს ფედერალური ხელისუფლებისგან კავკასიური ომის ჩერქეზთა გენოციდად აღიარებას და შესაძლოა, უფრო ფართო რეპატრიაციას.

თავის მხრივ „ოპოზიციური“ აქტივისტები შესუსტებულები არიან იმის გამო, რომ ეთნიკური მოძრაობის დღის წესრიგს პრაქტიკული ზომების თვალსაზრისით რესპუბლიკური ხელისუფლება ემსახურება. მათთვის კონკურენციის გაწევა რესურსულად სუსტ „ოპოზიციურ“ ორგანიზაციებს უჭირთ. კონკურენცია გადადის საჯარო განცხადებების სფეროში, რაც აქტივისტებს რიტორიკის გრადუსის აწევისკენ უბიძგებს.

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკასა და ადიღეში ჩერქეზული მოძრაობისთვის აქტუალურია სხვა ეთნიკური მოძრაობების საქმიანობასთან და ისტორიული მეხსიერების სხვა ვერსიებთან დაკავშირებული წინააღმდეგობანიც.

ჩერქეზი აქტივისტების დამოკიდებულება ისლამთან პირდაპირ კავშირშია ამა თუ იმ რესპუბლიკის ისლამიზაციის გამოცდილებასთან, ხასიათსა და მასშტაბებთან. ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში ისინი განიხილავენ ეთნიკურ მოძრაობას, როგორც ისლამიზაციის ალტერნატივასა და რადიკალური პოლიტიკური ისლამის საწინააღმდეგო საშუალებას. ისლამური და ეთნიკური იდენტურობის დაპირისპირების ასეთი სიმწვავე „ისლამურ“ და „ეროვნულ“ პროექტებს შორის ჩერქეზული კომპონენტის მქონე სხვა რესპუბლიკებს არ ახასიათებს.

2010 წლის დეკემბერში ნალჩიკში ეთნოგრაფი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ასლან ციპინოვი მოკლეს. იგი ცნობილი იყო როგორც არა მხოლოდ ჩერქეზთა კულტურის მცოდნე, არამედ როგორც ტრადიციების აღდგენის პრაქტიკული კონსულტანტი — მას დახმარებას სთხოვდნენ, როდესაც აპირებდნენ ქორწილი ან რაიმე სხვა დღესასწაული ყაბარდოული ადათის თანახმად მოეწყოთ. მის მკვლელობაზე პასუხისმგებლობა რადიკალმა ისლამისტებმა აიღეს, რომლებიც მას წარმართობისა და უღმერთობის პროპაგანდისტად მიიჩნევდნენ. ადიღე ხაბზეს, ტრადიციულ ეთნიკურ კოდექსს, ჩერქეზი აქტივისტები ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში განიხილავენ, როგორც ერთიან სისტემას, რომელშიც არის ისლამის შემცველი რელიგიური კომპონენტიც.

2012 წლის 25 აპრილის ჩერქეზული დროშის დღის საპატივცემულო ავტორბოლა მათ შორის ბაქსანში, იმ ქალაქში ჩატარდა, სადაც ითვლება, რომ სალაფიტების პოზიციები განსაკუთრებით ძლიერია. ავტორბოლის მონაწილეები ამბობდნენ, რომ ასეთი მარშრუტი შეგნებულად იყო არჩეული, რათა შეეხსენებინათ მორწმუნეთათვის მათი ეროვნული იდენტობის შესახებ. აღსანიშნავია ასევე, რომ ჩერქეზული დროშის მწვანე ფონს ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში აქტივისტები ხსნიან არა როგორც ისლამის ფერს, არამედ როგორც „ბუნების ფერს“.

